ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე №4 გგ/გდგ არეალის განაშენიანების გეგმის შემუშავების ინიცირება

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში წარმოდგენილია შპს ,,ურბანიკა"-ს მომართვა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე №4 გგ/გდგ არეალის განაშენიანების გეგმის პროექტის ინიცირებასთან დაკავშირებით.

№4 გგ/გდგ არეალის შემუშავების და მისი განვითარების პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის განაშენიანების გეგმით.

საპროექტო ტერიტორიის დაახლოებითი ფართობია 336 937 კვ.მ.

კონკრეტული მოთხოვნები:

1. სექტორი №1 - განვითარდეს მხოლოდ სასრიალო ტრასის ფუნქციით;
2. სექტორი №2-ში შესაძლებელია მხოლოდ სასრიალო ტრასების ფუნქციონირებისათვის საჭირო ობიექტების განთავსება (კვების ობიექტები, სპორტული ინვენტარის მაღაზიები ან გაქირავება, ტურისტული მომსახურების ობიექტები, ტექნიკური და დამხმარე შენობები). სართულიანობა არაუმეტეს 2 სართულისა.
3. სექტორი №3-ში შესაძლებელია მხოლოდ სპორტული კომპლექსის მოწყობა, რომელიც მოიცავს სტანდარტული ყინულის მოედნის დარბაზს და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამის ინფრასტრუქტურას (კვების ობიექტები, სპორტული ინვენტარის მაღაზიები ან გაქირავება, ტურისტული მომსახურების ობიექტები, ტექნიკური და დამხმარე შენობები).
4. სექტორი №4 წარმოადგენს სარეზერვო ტერიტორიას, რომელიც სათხილამურო ტრასის არსებობის შემთხვევაში, უნდა იქნას დათმობილი აღნიშნული ტრასის და მისი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ხოლო ტრასის არარსებობის შემთხვევაში, მისი გამოყენების სახეობა უნდა განისაზღვროს განაშენიანების გეგმით/განაშენიანების დეტალური გეგმით.
5. სექტორი №5-ში გასათვალისწინებელია სათხილამურო ტრამპლინებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

განაშენიანების გეგმით უნდა განხორციელდეს დაბა ბაკურიანში ოცდახუთმეტრიანების მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებული განვითარება, თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და საპროექტო ტერიტორიის მდებარეობის და რელიეფის პოტენციალის სრულად ათვისება. №4 საპროექტო ტერიტორია სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ბაკურიანისთვის, რადგან შესაძლებელია სამომავლოდ მოხდეს მისის დაბა ბაკურიანის ახალ ქვეცენტრად ჩამოყალიბება.

გენგეგმის შესაბამისად ტერიტორია დაიყოფა 5 სექტორად (მათ შორის ერთი სექტორი როგორც სარეზერვო ტერიტორია). სექტორები განვითარდება შემდეგი ფუნქციებით:

საციგურაო მოედანი;

სავაჭრო-გასართობი ცენტრი;

ტრამპლინები და სასრიალო ტრასები;

საბაგირო.

ტერიტორიის განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბაკურიანისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. იგი დამატებით შექმნის თანამედროვე ტურისტული კურორტისათვის საჭირო მრავალფუნქციურ ინფრასტრუქტურას, რაც შემდგომში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ კეთილდღეობაზე.

სიტუაციური გეგმა

LTD "URBANICA"

დაბა ბაკურიანში, №4 გგ/ გდგ არეალის განაშენიანების გეგმის

ინიცირება

განვითარების პერსპექტივა- ანალოგები